ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6435269

ნომერი: AR1951972

თარიღი : 28.02.2023

გაცემის თარიღი : 27.04.2023

გაცნობის თარიღი : 27.04.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წყალსადენის ქუჩა, N 55დ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ქამუშაძე პ/ნ 01011013527
- თბილისი კაკაბეთის ქ. N 2ბ ბ. 4

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. „არკა“ კოდი: 406057822

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 28 თებერვალს №AR1951972 განცხადებით მომართა ირაკლი ქამუშაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5383931 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 10 მარტის №6361386 ბრძანებითა და 2023 წლის 20 მარტის №6374870, 2023 წლის 7 აპრილის №6406843, 2023 წლის 21 აპრილის №6426231 გადაწყვეტილებებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ, ისევ არ არის ხარვეზები სრულად გამოსწორებული, კერძოდ წარმოდგენილი და შეთანხმებული ±0.00 ნიშნულის გეგმა ისევ შეუსაბამოა ერთმანეთთან, მაგ.: „B" ღერძის გასწვრივ „16-8" მონაკვეთში ღია ავტოსადგომები, კვლავ არ არის აბსოლუტურად შეთანხმებულის იდენტური.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია და ამასთან, სამსახურის არაერთი გადაწყვეტილებით მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ გამოსწორდა, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2023 წლის 28 თებერვლის №AR1951972 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.